საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2812
22/06/2022

2812-21-2-202206221316

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედ ფილიალს“
მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა N15
ელ. ფოსტა: tamta.kapanadze.2@iliauni.edu.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2128 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხადაში ქვეშეთი-კობის გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №3 სამშენებლო ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის Shp ფაილები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ნახაზი 3.1.1. არ არის იდენტიფიცირებადი.
- დოკუმენტში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის თავში აღნიშნულია, რომ გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის სამხრეთ ნაწილში, ხოლო „ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების თავში“ აღნიშნულია, რომ გამწმენდი ნაგებობა ტერიტორიაზე მოწყობილია. სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოები) გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადების 3.3 თავში მოცემული ჩამდინარე წყლების მაჩვენებლების რიცხვითი მნიშვნელობები საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდის ნაგებობის საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლების გამწმენდ დანადგარამდე მიყვანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო